ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №9

ქ. ქობულეთი 15აპრილი 2019 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ,,ქობულეთის სოფლის წყალი", შემდგომში -„შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის სულიკო თხილაიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ალ", შემდგომში - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ჩავლეიშვილის სახით ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტო ბრძანება №13 ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესით" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში -„ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება"- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის" მიერ სახელმწიფო შესყიდვების CPV 30200000 (კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები) კოდით გათვალისწინებული საქონელის შესყიდვა. კერძოდ: პრინტერი(„HP LASER JET PRO MPF M130FN" (მწარმოებელი ქვეყანა ვიეტნამი).

2.2 საქონლის შესყიდვა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს თანხა 690 (ექვსასოთხმოცდაათი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, „მიმწოდებლის" მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ,,მიმწოდებელს" მიღებული საქონელის ღირებულება, ყოველი გამოწერილი სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშფაქტურის საფუძველზე, სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

4.3 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოსაწოდებელი საქონელის მოცულობის ღირებულებამ არ შეადგინა აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობების ღირებულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს მიუწოდებელი საქონლის მოცულობების ანაზღაურებაზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტისა, დღგ-ს ანგარიშფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების წარდგენის შემდეგ.

5.2.სასაქონლო ზედნადების საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიღებული საქონლისათვის.

5.3 საქონლის მიწოდება განხორციელდება მოთხოვნის შესაბამისად.

5.5. საქონელის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი

5.6 დამკვეთი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელის მიწოდება იმ მომენტში არსებულ საცალო ფასებში.

6.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება, ანგარიშფაქტურის საფუძველზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.3 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7.4 თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად გამოწვეული ზიანი.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და წყვეტს მოქმედებას 2020 წლის 31 იანვარს.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ ,,ქობულეთის სოფლის წყალი"

მის: ქობულეთი, პოპოვის ქ №7
ს/კ 247008919

მიმწოდებელი:

შპს ,,ალ"

მის: ქობულეთის რაიონი, სოფელი ხუცუბანი, მე–8 ქუჩა N10
ს/კ 446971714

სს ,,ლიბერთი ბანკი"

ანგ# GE62LB0113177679170000

ბანკის კოდი: LBRTGE22

დირექტორი: სულიკო თხილაიშვილი

დირექტორი: გიორგი ბავლეიშვილი

Village Water of Kobuleti

Подписано цифровой подписью: Village Water of Kobuleti
Дата: 2019.04.15 20:17:04 +04'00'